6980

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი

მკითხველ წლოვანთათვის.

მაისი № 9. 1915 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

წელიწადი მე-XI. № 9 მაისი, 1915 წ.

241

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერნი იქნებიან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—მეცნიერები იქნებიან,—სურათი 1

II—ნაკადულის მკითხველები:—1, ემელიან სიხარულიძე, ჩოხატაური,—2 ⁄ 3, კატო და თინა ეგაძეები, სოფ. ტირძნისი,—4, ვანო მაისურაძე, ახალციხე,—5, არჩილ იმნაძე, ლანჩხუთი,—6 ⁄ 7, შუშუ და მიხეილ ჭყონიები, გურია,—8, ნესტან-დარეჯან იმნაძე, ლანჩხუთი 3

III—ონავარი,—ლექსი გ. ქუჩიშვილისა 4

IV—როგორ გახდა შუშანიკა ავად,—ლეო იმნაძისა 6

V—ზღაპარი,—დარ. აბელიშვილისა. 13

VI—მიყვარს,—ლექსი გელასი 17

VII—ბავშვები და მორიელი,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა . . . 18

VIII—სტეპციას მსხვერპლი, ე. ერლინისა, თარგმანი პოლონურიდან მ. ბერძენისა 22

IX—გასართობი, რებუსი და ალსნა. 24

ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქართ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ. № 12.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბაკადური“

მკითხველები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ონავარი

მერთო, რა ცელქი
რამ არი,
ეს ასტაჯინა
თამარი!..

რაც უნდა ბევრი ეცადოთ
ვერ შეასვენებთ წუთითა.
გაგეპარებათ ეზოში
და მოისვრება თუთითა.

ქაჯივით დაჰქრის მთელი დღე
იორდა ჯოხის ცხენითა
და სოფლის უბნებს ახარებს
კისკასითა და ლხენითა.

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



როგორ გახდა შუშანიკა ავად

ბატარა სუთი წლის შუშანიკა, რომელსაც შინაურობაში შუტას ეძახიან, საკვირველი ბავშვია: გულკეთილი, ნაზი და ზრდილობიანი; უბატონოდ არავის ენას არ შეუბრუნებს:

— რა ბრძანეთ, ბატონო!—მოვიდე, ბატონო?—და ამგვარები.

ლექსები ხომ აუარებელი იცის: „მე ბატარა ქართველი ვარ,“ „შალვა, ადექი საჩქაროდ,“, „ობლები და ღარიბები“ და მრავალი სხვა. ყველას მოსწონს შუტა და ყველას უყვარს; სტუმრები, როცა მოვლენ, შუშანიკას უთუოდ საჩუქრებს მოუტანენ; ერთი სიტყვით—ცდილობენ შუტას ასიამოვნონ.

მაგრამ ყველა ამ კარგ თვისებებთან შუშანიკას ერთი ახიررებული ზნეც სჭირს, რაც სტუმრებმა არ იციან, თორემ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ალბად საჩუქრებს აღარ მოუტანდნენ. ეს ზნე კი აი რა ცუდია: შუტას ძლიერ ეხარბება სხვა ბავშვების ეველაფერი,— კაბა, ქუდი, ფოსტლები, ერთი სიტყვით,—ეველაფერი.

თუმცა შუშანიკას ეველაფერი უფრო მვირფასი და კარგი აქვს, ვიდრე სხვა ბავშვებს, მაგრამ სხვა ბავშვს ცუდი ტანისამოსიც რომ ეცვას, შუტას მაინც შეეხარბება და მანამდი არ მოისვენებს, სანამ ბავშვს არ გააძრობს და ოვითონ არ ჩაიცვამს. ვინ მოსთვლის, დარეჯანას რამდენჯერ გააძრო კაბა და თვითონ ჩაიცვა. ერთხელ ბატარა კუკურის სრული ბალტოც კი ჩაიცვა და ეცინებოდა, რომ ერგო. ვინ მოსთვლის—ამ სარბობის გულისათვის დედამ რამდენჯერ სცემა შუშანიკას, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის.

ტანსაცმელი—ტანსაცმელია, მაგრამ შუტას რომ ერთხელ ბავშვების ავათმეოფობაც კი შეეხარბა, ეს სწორედ სასაცილო იეო და სწორედ ეს მინდა გიამბოთ ახლა.

ერთხელ, როცა ზამთარი ძლიერ თბილი და უთოვლო იეო, გამოზაფხულებაზე საშინელი ეინვები დაიწეო, თან ძლიერი ქარი ჰქროდა; აი სწორედ მაშინ ჩვენსას ეველა ბავშვები ავად გახდნენ: ზოგს ახველებდა, ზოგს სიცხე მისცა და სხვა; ერთი სიტყვით—ჩვენი საბავშვო ოთახი საავადმეოფოდ გადაიქცა. ერთად-ერთი ბავშვი შუშანაკა იდგა მარდად ფეხზე და ავადმეოფობის ნიშნები სულ არ ეტეობოდა; მაგრამ, როცა ექიმი მოიევანეს და ბავშვები გაასინჯვინეს, შუშანიკა აწრიალდა; თურმე, ნუ იტყვით, მასაც მოუნდა, რომ ექიმს ისიც გაესინჯა. თავისი სურვილი შუტამ, რა თქმა უნდა, ჰირვეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ბებიას ჩასჩურჩულა ჩუმად ეურში, რადგან ბებიას მეტი ამ სულელურ სურვილს აბა ვინ შეუსრულებდა.

ბებიამ იმ წამსვე სთხოვა ექიმს და ექიმმაც რასაკვირველია გასინჯა შუშანიკა, მაგრამ როცა ვერავითარი ავადმყოფობა ვერ შენიშნა, ღიმილით ზურგზე ხელი მოუცაცუნა;— „ეოჩაღი ქალი ხარო,“—უთხრა და წავიდა. შუშანიკამ კი მაინც ვერ მოისვენა, მეტადრე მაშინ, როცა ეველა ბავშვებს თეთრი თავსაფრებით თავები შეუხვიეს. ახლა კი თვითონ ბებიაც წინააღუდგა შუშანიკას სურვილს, რადგან არ უნდოდა თავისი საყვარელი გოგონა თავწაკრული ენახა.

— ღმერთმა დაგიფაროს ავადმყოფობისაგან, შვილო, რა სახარბიელო ეს არის, — ეუბნებოდა ბებია შუტას. — ნუ, ჩემო ბებია, ნუ გინდა, თორემ სასეირნოდ ვეღარ წახვალ, ჩურჩხელებს ვეღარ ჭამ, ერთი სიტყვით—ყველაფერს კარგს უნდა მოაკლდე.

შუშანიკა მაინც თავისას გაიძახოდა და სანამ მასაც სხვა ბავშვებივით თეთრი თავსაფარით არ შეუხვიეს თავი, მანამდი არ მოისვენა. წარმოიდგინეთ, მწარე ქინაც კი, რომელიც ეოველთვის ეჯავრებოდა შუშანიკას, ახლა სიამოვნებით გადაყლაპა, რადგან დაინახა, რომ სხვა ბავშვებიც ასე შვრებოდნენ.

მაგრამ დახეთ საკვირველებას! ორი სამი დღის შემდეგ, როცა ეველა ბავშვებმა მოიკეთეს და ფეხზე წამოდგნენ, აკი მართლა არ გახდა შუშანიკა ავად: სიცხე მისცა და თან ახვევლებდა. იმ წამსვე ექიმი მოიყვანეს, რომელმაც დაფიქრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყო სინჯვა შუშანიკას, მაგრამ ახლა შუშანიკა ცივ უარზე იდგა და ექიმს სიახლოვეს არ იკარებდა. არც თეთრი თავსაფარის თავზე წაკვრა უნდოდა ახლა შუშანიკას. აბა ქინა ხომ რამოდენიმეჯერ დაღვარა და ერთი წვეთიც კი არ უნდოდა გადაეყლაპა.

მაგრამ რა თქმა უნდა—მას ახლა აღარავინ არაფერს უჯერებდა: ძალად ასმევდნენ წამალს, მიუხედავად იმისა, რომ შუტას ევირილი შორს გაისმოდა.

ლეო იმნაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზღაპარი

(ხალხური)

Oეო და არა იყო-რა,—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,—ცხოვ-რობდა ქვეყნად ცხრა ძმა ერთ ულრან ტყეში. გარიჟრაჟისას გავიდოდნენ სახლიდან, სძარცვავდნენ გამვლელ-გამომვლელს; საღამოთი ბრუნდებოდნენ დიდი ნადავლით. ერთი ძმა სხვა ქვეყანაში წავიდა და ცოლი შეირთო. სიკვდილის შემდეგ ერთი ვაჟიშვილი დარჩა. სხვა რომ წლით იზრდებოდა, ის საათო-ბით. ცხრა წლისა რომ შეიქნა, დედამ უთხრა:

— შვილო, ასე რომ ვიჯდეთ გულ-ხელ-დაკრეფილი, ვინ რას მოგვცემს: წადი ამა-და-ამ ქვეყანაში; იქ ერთ ულრან ტყე-ში შენი ბიძები ცხოვრობენ. მიდი, და რამე ხელობას გას-წავლიან.

გაუდგა ბიჭი გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა,—მიაგნო ბიძებს. ბავშვი ხედავს: ეოველ დღე, მტრედის ფრად რომ ინათებს, ბიძები სახლიდან მიდიან და შინ მხოლოდ ღამე ბრუნდებიან დიდი ნადავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვს გაუკვირდა: ამოდენა სიმდიდრეს სად შოულობენო. ქოხთან ერთი მაღალი ალვის ხე იდგა. ბიძები რომ სახლიდან წავიდნენ, ბავშვი ავიდა ალვის ხეზე და თვალიერება დაუწყო. შარა გზაზე თათრის ქარავანი გამოჩნდა. თვალ-მარგალიტით დატვირთული აქლემები ძლივს მოდიოდნენ. უეცრად ტეიდან გამოხტნენ ბავშვის ბიძები. ეცნენ ქარავანს. ზოგი დახოცეს, ზოგი დასჭრეს, ზოგიც გაექცათ. ხელში ჩაიგდეს ქარავანი და შინ მოდიან.

— არა,—იფიქრა ბავშმა,—ამათ არმად უცხოვრიათ: ამათი ხელობა ღმერთმა ნუ შემასწავლოს. ჩამოხტა ხიდან, გადიცვა სხვა ტანისამოსი და ბიძებს გზაში გადაეღობა. ზოგს მკლავი მოსტეხა, ზოგს ფეხი. წართმეული—ჰატრონებს დაუბრუნა და შინ გამოსწია. ვიდრე ბიძები სახლში მოვიდოდნენ, ბავშვმა ტანისამოსი გამოიცვალა და კარებში მოეგება. უაჩალებმა იცნეს ძმის-წული, შიშით ხმა ვერ ამოიღეს; მხოლოდ მისი თავიდან მოცილება გადასწყვიტეს.

ღამე, როცა იძინებდნენ, უფროსმა უაჩალმა უთხრა:

— წადი მავან ადგილას და წყალი მოიტანეო.

ის წყალი ოქროსი იყო: უკვდავების წყაროს ეძახდნენ; მხოლოდ იქ წასული უკან ცოცხალი ვერ ბრუნდებოდა. ცხრა მთა და ცხრა ღელე გადაიარა. რიჟრაჟისას ერთ ფრიალო კლდეს მიადგა, საიდანაც უკვდავების წყარო გადმოჩუხჩუხებდა: ხან წითლად გადმოსჩქეფდა, ხან ლურჯად, ხან მწვანედ. წყაროსთან ერთი ლოდი იდო. ჩამოჯდა ლოდზე. წითელი წყალი რომ წამოვიდა, ხელ-ჰირი დაიბანა, თავზე ხელი გადისვა, და თმა ოქროსი გაუხდა. კარგად რომ დაისვენა, აავსო კოკა და მოდის. ხევიდან შხუილი მოესმა. ვიდრე მაღლა აიხედავდა, თავზე ერთი მზეთ-უნახავი ქალი დაეცა და ოქროს ქოჩორში ხელი წაავლო. ბიჭმა სტაცა ხელი და ფეხიდან ოქროს ქოში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალმარგალიტით მოჭედილი, წაამრო. დიდი ვაი-ვაგლახით იხსნა თავი ქალისაგან; ქოში უბეში ჩაიდო და შინ წამოვიდა.

სახლში რომ ბავშვი ცოცხალი დაბრუნდა, ბიძებმა სთქვეს:

—რაკი იმ ქალსაც ცოცხალი გადურჩა, ჩვენ კარგ დღეს არ დაგვაერისო. უთხრეს:—მთელ ჩვენ სიმდიდრეს შუაზე გაგიყოფთ, ოღონდ შენ გზაზე წადიო.

— არამი ლუკმა რა მოსახმარია: ჭკუა და ღონე ღმერთმა იმიტომ მომცა, საკუთარი შრომით ვიცხოვრო,—მკვახედ უპასუხა ბიჭმა და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ქალაქში შევიდა. ამოიღო ქოში და სინჯვა დაუწყო. ერთმა ვაჭარმა გამოიარა. ოქროს ქოში რომ დაინახა, სიხარბემ წასძლია და დაიჩემა:—წუხელ დუქანი გამიძარცვეს; ამისთანა ქოში წაიღეს; შენ მოძღვარავდი იმ ქოშსაო.

ბიჭმა ბევრი იფიცა, მაგრამ ვაჭარმა მაინც ხელმწიფესთან წაიყვანა. ბიჭმა ბევრი იფიქრა, და ბოლოს უთხრა ხელმწიფეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, მოგვეცი ორივეს ვადა შვიდი წელიწადი, შვიდი თვე, შვიდი საათი და შვიდი წუთი. ვინც ამ ვადის განმავლობაში ამისთანა ქოში მოიტანოს,—გაამართლე; დამნაშავე—ჩამოაღრჩეო.

ხელმწიფე დასთანხმდა.

ბევრი სიარულის შემდეგ ჭაბუკი ერთ სახელმწიფოში მივიდა. აქაურ მეფის შვილს ერთი ქალი ღამე აცოცხლებდა, დღე-ჰკლავდა. საფლავს ეოველ ღამ თითო ყარაული სდარაჯობდა, მაგრამ ცოცხალი არცერთი არ დაბრუნებულა.

ჭაბუკმა სწორედ მაშინ გაიარა, როდესაც ერთი მოხუცი დედაბერი ცხარე ცრემლით სტიროდა.

— რა გატირებს, დედაბერო,—ისეთი რა გაგჭირებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რადა რა მატირებს, შვილო: ერთი ვაჟიშვილის მეტი არაფერი გამახნია, ისიც საყარაულოდ ხელმწიფის შვილის საფლავთან მიჰყავთ.

ჭაბუკს შეეცოდა მოხუცი დედა. საღამო ხანს თვითონ წავიდა საფლავის სადარაჯოდ. საფლავთან ორმო ამოთხარა, ზედ ბუჩო წააყარა და შიგ ჩაჯდა. შუა ღამისას ლამაზი ქალი მოფრინდა. ხელში სამი ოქროს მათრახი ეჭირა. დაჰკრა საფლავს ერთი მათრახი: მიწა აიჩეჩა. დაჰკრა მეორე: კუბოს თავი აიხადა.—დაჰკრა მესამე: მეფის შვილი გაცოცხლდა.

დასხდნენ. გაშალეს სუფრა. ნადიმი გამართეს. მაშინ ამოვიდა ჭაბუკი და სტაცა ქალს ხელი ძვირფას სამაჯურში. ქალი წამოხტა. ქოჩორზე ხელი მოავლო; მაგრამ ბიჭმა იმარჯვა და ოქროს ნაწნავები ჩამოაგლიჯა. მაშინ ქალმა დაიფრთხიალა და გაფრინდა.

ჭაბუკმა ხელმწიფის შვილი დედაბერს მოჰგვარა. ხელმწიფემ რა გაიგო ეს ამბავი, დაიბარა ჭაბუკი და უთხრა: შენ—მეფე, და მე—შენი ქვეშევრდომი.

— არა, დიდებულო მეფეო: ხელმწიფობა არ მინდა: აი, ამ ქოშის ცალი მომეცი.

— მთელ ჩემ სახელმწიფოში ამის საფასური არაფერი მოიპოვება,—უპასუხა მეფემ.

ჭაბუკი გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა, ზღვას მიადგა. ზღვის გაღმა მდიდარი სახელმწიფო იყო; გამოღმა ხალხი შიმშილით იხოცებოდა. მდიდარ სახელმწიფოში რომ გემს სანოვაგით დატვირთავდნენ, დაბრუნებისას შუა ზღვაში ერთი ქალი დაეცემოდა და ღუპავდა.

ჭაბუკმა უთხრა მეზღვაურს: გემზე დამსვი და გაღმა გამიყვანეო. მეზღვაურმა უამბო, როგორც იყო საქმე. ჭაბუკმა ჩაიცინა და გემზე დაჯდა. დატვირთული გემი რომ უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნდა, ზევიდან შხუილით ლამაზი ქალი წამოვიდა; გეშის დაღუპვა დააპირა, მაგრამ ჭაბუკმა ხელი სამაჯურზე წაავლო. დიდი ბრძოლის შემდეგ დამარცხებული ქალი უკან გაფრინდა.

გამოღმა სახელმწიფოს მეფემ დაიბარა ჭაბუკი და უთხრა:

— ეოვლის-შემძლე ჰეოფილსარ. შენ-მეფე და მე-შენი ქვეშევრდომი.

— არა, ხელმწიფობას არ დავეძებ; აი, ამ ქოშის ცალი მომეცი.

— ეს ისეთი ქოშია, რომ ჩემი სახელმწიფო ამის ქუსლადაც არა ღირს,—უპასუხა მეფემ.

ზღვის მახლობლად ტრიალ მინდორზე ერთი ალმასის კოშკი იდგა. სწორედ ამ კოშკს მიადგა ჭაბუკი. კოშკში ოქროს მაგიდა იდგა, სხვა-და-სხვა საჭმელებით. ტახტზე—ძვირფასი ხალიჩები. კუთხეში თარი ეეუდა. მაგიდის შუაგულში ოქროს ბატკანი წამოსკუპებულიეო.

ჭაბუკმა რომ თარი დაუკრა, ბატკანმა თამაშობა დაიწყო. ამ დროს ცაში საშინელი შხუილი მოისმა. ჭაბუკი ტახტქვეშ დაიმალა. პატარა ხნის შემდეგ ოთახში სამი მზეთუნახავი ქალი შემოვიდა. მოუსხდნენ სუფრას და პურის ჭამა დაიწყეს.

უფროსმა დამ სთქვა:—აბა, ჩემო დებო, რა ბევრი ვილაპარაკო; ხომ იცით,—მთას იქით რომ უკვდავების წყაროა, იმას ვეარაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდი. ბევრი ვაჭკაცი დამიხოცნია, ქვეყნად ბევრი ცოდო და-მიტრიალებია, მაგრამ ერთმა უსუსურმა ბავშვმა დამამარცხა: ერთი კოკა უკვდავების წყარო წამართვა და ცალი ქოშიც თან გააყოლა. ცოცხალია,—ღმერთმა აბედნიეროს, მკვდარია, და ღმერთმა შეიწყალოს.

მეორემ სთქვა:

— ერთი ხელმწიფის შვილი მიეგარდა; დღე ვკლავდი, ღამე ვაცოცხლებდი. საფლავის ყარაული ათასობით დავხოცე; მაგრამ ერთმა უსუსურმა ბავშვმა დამამარცხა. — ცოცხალია, ღმერმა აბედნიეროს, მკვდარია, და შეიწყალოსო.

სთქვა მესამემ.

— შორ ქვეყანაში ერთ ზღვას ვფლობდი. ჩემი შიშით ზღვა-ზე ფრინველს ვერ გადაეფრინა. ვამაყობდი; მაგრამ ერთმა უსუ-სურმა ბავშვმა დამამარცხა. ცოცხალია,—ღმერთმა აცოცხლოს, მკვდარია, და შეიწყალოსო.

ამ დროს ჭაბუკი გამოვიდა. ქალებს ძლიერ გაუხარდათ მისი დანახვა: სუფრაზე მიიპატიჟეს. ჭაბუკმა უთხრა:

— სანადიმოდ არ მოვსულვარ: ასე და ასეა ჩემი საქმე. ვადამდის შვიდი საათი-ღა დაჩრჩა; თუ ამ ქოშის ცალი არ მი-ვიტანე, ხელმწიფე დამაღრჩობსო.

— ნუ აჩქარდები: ჩემი ხალიჩა სამ საათში მიგიყვანს,— უთხრა უფროსმა.

— ჩემი ფარდაგი ორ საათში მიგიყვანს,—სთქვა მეორემ.

— დარჩი; მე სამ წუთში მიგიყვან,—უთხრა უმცროსმა.

ჭაბუკი დასთანხმდა. ნადიმის შემდეგ უმცროსმა ქალმა გა-შალა ხალიჩა და უთხრა:

„შენსა მზესა, ჩემსა მზესა,
შენი გამომცემლის მზესა;
ხელმწიფესთან მიგვიყვანე,
ვისაც ჰირობა მისცესა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასვლის წინ უფროსმა ქალმა გაიხადა ცალი ქოში და ჭაბუკს მისცა. ვაჭარს ცალი ქოში ვერ ეშოვნა. როდესაც ჭაბუკი წარუდგა ხელმწიფეს და ქოში უჩვენა, ვაჭარი ჩამოადრჩვეს. ხელმწიფემ თავისი ტახტი ჭაბუკს დაულოცა:

— იცოცხლე, შვილო, და იარე სამართლიან გზაზე.

ჭაბუკი ავიდა სამეფო ტახტზე, დაიწერა ჯვარი უმცროს დაზე და ცხოვრობდა ბედნიერად.

დარია აბელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარს!..

იტომ მიყვარს
ნაკადული,
ცქრიალა და
მხიარული,

რომ კისკისობს,
მორაკრაკობს,
ველ-მიდამოს
ფრთებით ამკობს,—
„გაისარეთ!“
ლხენით ამბობს....
რა ხმებია,
საამური.

მარად ტოკავს,
სტკბება გული!..
ამიტომ მიყვარს
ნაკადული,
ცქრიალა და
მხიარული!..

გელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბავშვები და მორიელი

იგავი.

ბავშვებმა ეზოში თამაშობის დროს ძველი სახლის ნანგრევიდან გამოძვრალი მორიელი დაინახეს და ასტეხეს საშინელი აურზაური:

— არიქა, მორიელი! აბა, ქვა, ჯოხი, მალე, თორემ მიიმალება სადმეო!

ეს რომ მორიელმა გაიგო, თავზარი დაეცა, შეწუხდა და შებრალება ითხოვა:

— გეფედრებით, ნუ მომკლავთ; რა დამიშავებია, ვის რა ვაწყენინე? ჩემს დღეში სიავე არ ჩამიდენია; აბა თქვენში რომელი იტუვის, რომ მე იმის წინაშე თუნდ მცირეოდენი რამე დანაშაული მიმიძღოდეს.

— ჩვენ რომ შენს დანაშაულს ვუცადოთ, გვიან-და იქნება,—მიუგეს ბავშვებმა და მეის გამოასალმეს ბედ-შავი წუთისოფელს.

ალ. მირიანაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სტეფციას მსხვერპლი

ინ, ძინ, ძინ!—გაისმა დერეფანში ზარის წკრიალი.

სტეფცია აჩქარებით წამოიჭრა თავის ადგილიდან და კარის გასაღებად გაექანა. ფანჯრიდანვე შენიშნა ფოსტის დამტარებელი, რომელიც ახლა დერეფანში უნდა შემოსულიყო. ალბად დიდედას წერილი მოჰქონდა, რომელსაც ეველანი ასე მოუთმენლად ელოდნენ.

მართლაც სტეფცია არ შესცდა. წერილზე გარკვევით იყო დაბეჭდილი სახელი იმ ადგილისა, სადაც ახლა სტეფციას დიდედა იმყოფებოდა.

— ღმერთო ჩემო!—ჩურჩულებდა თავისთვის გოგონა გზადა-გზა, თავის დედის ოთახისკენ რომ მიჰქონდა წერილი,— ნეტავი-კი ამ წერილში ის ეწეროს, რომ ჩემი დიდედა ახლა კარგად არის! მაშინ ხომ ჩემი დედიკოც აღარ იდარდებს!

მაგრამ.... წერილმა გაუცრუა იმედი სტეფციას: კარგსა და სასიამოვნოს-კი არა, ცუდსა და დამაღონებელ ამბავს იწერებოდა სტეფციას ძალო: დიდედა უფრო ავად არის და ეველანი საგონებელში ჩაგვაგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სტეფანიამ თავის დედას თვალზე ცრემლი შეამჩნია, გული მოუკვდა; დაღონებულმა თავი ჩაღუნა, მწარე ფიქრებმა წაიღეს, გაიტაცეს მისი პატარა თავი!

პატარა იყო ჩვენი გოგონა, მაგრამ ჭკვიანი და საზრიანი; ჭირი და ვარამი თავის დედ-მამისა კარგად იცოდა, თუმცა დედაც და მამაც თავიანთ ტანჯვას ბავშვს უმალავდნენ. ისიც იცოდა, რომ დედას სულით და გულით სწყურდა ავადმყოფ დიდედასთან წასვლა და მისი მოვლა; იცოდა, რომ დიდედა შორსა სცხოვრობდა და მისი ნახვისთვის ფულის გაღება იყო საჭირო, მაგრამ მისი დედ-მამა, ისედაც შეკვიწროებულნი, საიდან გამოსძებნიდნენ გზის ხარჯს? ამას წინად გაისტუმრეს მასწავლებელი, რომელიც სტეფანიას ძმას — ვასოს — გიმნაზიისთვის ამზადებდა. ახლა ვასოსთვის ახალ საგიმნაზიო ტანსაცმელშიაც გასწიეს ხარჯი, და რაღა დარჩებოდათ? მართლა, ამ რამდენიმე დღის წინად სტეფანიას მამამ, დედა რომ ნახა ნამტირალევი თვალებითა, ხელზე აკოცა და უთხრა:

— აბა, რა გატირებს, ჩემო კარგო; იქნებ როგორმე მოვახერხო და ფული ვიშოვო; მაშინ ნახავ კიდეც დედაშენს.

მაგრამ დედამ მკვირცხლად მიუგო:

— რაო, ვიშოვო?! არას გზით არ შეიძლება ეგა! მერე საიდან და როგორ უნდა გავისტუმროთ ეგ ვალი? ჩვენ იმდენად მცირე და განსაზღვრული შემოსავალი გვაქვს, ჩემო კარგო, ერთსელაც რომ ვალი ავიღოთ, მერე იმის გადახდა თავში საცემი გაგვიხდება. ისედაც შეკვიწროებულებმა უფრო მეტად უნდა ვიუაირათოთ, შვილებსაც ცოტა რამ უნდა მოვაკლოთ, თორემ მომავალში ცუდად წავა საქმე. მერე ან რა ცხოვრება იქნება ჩვენი ცხოვრება, როდესაც აღებული ვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფველაფერს ჩაგვამწარებს? არა, ჩემო საყვარელო, ასეთ გზით არ დავთანხმდები, რომ ვალი აიღო.

ასე, ამრიგად დედამ ნება არ მისცა მამას ფული ეშოვნა და დიდედასთან გაეგზავნა, და ამიტომაც იყო, რომ დედა სულეოველთვის გულდამშარებული იჯდა და მწარედ სტირიდა, აგონდებოდა თავისი კეთილი და საყვარელი დედა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო, ღმერთო! ისეთი რა მოვიგონო, რომ დედამ დიდედასთან წასვლა მოასერხოს!

ამ სიტყვებს გაიმასოდა ორთავ ხელზე თავდაყრდნობილი და მწარედ დაფიქრებული სტეფანია. მერე როგორ უყვარდა დედა, როგორ უნდოდა იმის გული გაესარებინა, დარდი და ნაღველი შეემცირებინა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოეგონა მის ბაწია თავს!

— რა ვქნა, რა მოვასერხო, რომ დედას ფულები უშოვნო და დიდედასთან გავგზავნო?... ეს, ან რატომ აქამდე არ მომივიდა თავში ეს აზრი!—წამოიყვირა უეცრივ სტეფანიამ და მეტი სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა.—მე ხომ ჩემი საკუთარი ფული მაქვს „კასაში“ მიბარებული!

რამდენი სანია, რაც მია და ნათლია ყოველთვის თითოოროლა მანეთს აძლევდნენ სტეფანიას, სან უქმე დღეებში და სან დღეობებში; ყველა ეს ფული შემნახველ „კასაში“ იყო მიბარებული და დღევანდლამდე ოცდაათი მანეთი შეეგროვებინა სტეფანიას. წინდაწინვე გადაწყვეტილი ჰქონდა მის დედ-მამას, რომ ამ ფულით სტეფანიასთვის საზამთრო თბილი ბალტო უნდა ეყიდნათ, რადგან ის, რომელსაც ახლა სტეფანია ატარებდა, დაძველებული და დამოკლებული იყო. ბალტოს გარდა თბილი ქუდი და ქუროც (ხელის სათბუნებელი) უნდა ეყიდნათ.

კარგა სანია, რაც სტეფანია ოცნებობდა ამ ახალ, კოხტა და თბილ საზამთრო ტანისამოსზე, მაგრამ ახლა, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე საეკვარელ დედას ეხებოდა, სტეფცია ეველაფერზე უარს იტეოდა; არა მარტო ამ საზამთრო ტანთსაცმელზე, სიამოვნებით დასთანხმდებოდა ტანშიშველსაც, უქუდოდ, მარტო ხელსახოცით მოხვეულს ეარა, ოღონდ-კი დაღონებული დედა გაესარებინა.

მოცინარე სახით წამოიჭრა სკამიდან და გაექანა იმ უუთისაკენ, სადაც ეველა თავისი ტანთსაცმელი, რვეულ-წიგნები და სხვა ნივთები ჰქონდა შენახული; იმავე უუთში სულ ძირში მიმალული ჰქონდა შემნახველ კასის წიგნაკიც, რომელიც დედამ მისცა შესანახად, და თანაც უთხრა: შენ თვითონ უნდა მოუარო ხოლმე შენ სარჩო-საბადებელსაო.

წიგნაკით ხელში, სახე-წამოწითლებული, მეტის მეტად აღელვებული შევიდა იმ ოთახში, სადაც იმ დროს იმის დედმამა იყო. მამა ანუგეშებდა და აძშვიდებდა სხვა-და-სხვა საალერსო სიტყვებით დედას, რომელსაც თავი მამის მხარზე მიეყრდნო.

ნელად, ჩუმად მიუახლოვდა დედას სტეფცია, აიღო მისი ხელი და საკოცნელად ტუჩებზე მიიდო.

— რა გინდა, ჩემო გოგონავ?—დაეკითხა დედა.

— დედილო!—წუნარად წაიჩურჩულა სტეფციამ და თან ხმა აუკანკალდა მეტის აღელვებისაგან,—ერთი დიდი თხოვნა მაქვს შენთან; მხოლოდ დამპირდი, რომ უარს არ მეტეკი, შემისრულებ.

— კარგად იცი, შვილო, რომ თუ-კი შესრულება შემიძლია, რასაცა მთხოვ, უარს არას დროს არ გეტეკი ხოლმე.

— დედილო, ჩემი ფული გამოიტანე და ამით გაემგზავრე დიდედასთან.

სთქვა თუ არა ესა, თავისი წიგნაკი დედას კალთაში ჩაუდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედას გული აუჩუყდა და თვალთ ცრემლი მოერია. ძაგ-
რად ჩაიკრა გულში თავისი ქალი და უთხრა:

— არა, ჩემო გოგონავ, ეს ფული ტანისამოსისათვის არის
გადადებული და სხვაზე ვერაფერზე დავხარჯავ.

— ჩემო დედილო, ჩემო ერთად ერთო! — სთხოვდა სტეფ-
ცია და თან ხელებს უკოცნიდა: — აიღე ეს ფულები! ჩემი ძვე-
ლი ჰალტო კიდევ გამოდგება, სითბო საკმარისი აქვს ჯერ
კიდევ.

დედა ერთ წამს შეეყუმანდა, მაგრამ მამამ მხარი დაუ-
ჭირა სტეფციას.

— ჩემო ძვირფასო, — უთხრა თავის ცოლს, — შეგიძლია-კი
არა, მოვალე ხარ მიიღო სტეფციასაგან შემონაწირი მსხვერპ-
ლი. ნუ მოუკლავ სტეფციას ნიჭს და სურვილს კეთილი
უყოს იმათ, ვინც უყვარს. დეე ძვირადაც დაუჯდეს მაგას
ეგ სიამოვნება. კარგია, რომ ახლავე მარტო თავის თავზე-კი
არა, სხვებზედაც ზრუნავს.

დედას ამის შემდეგ უარი აღარ უთქვამს; ჩუმად გამოარ-
თვა სტეფციას წიგნაკი, კიდევ ჩაიკრა მაგრად თავის გოგონა
გულში და მეორე დღეს დილით ავადმყოფ დიდედისაკენ
გაემგზავრა.

რამდენიმე დღის შემდეგ წერილი მოვიდა ჰირდაჰირ სტეფ-
ციას სახელობაზე, რომელშიაც მოკითხვის შემდეგ დედა სწერ-
და თავის ქალს: „შეიძლება ითქვას, რომ დიდედამ დამინახა
თუ არა, მაშინვე კარგად გახდა. ახლა ექიმები ირწმუნებიან
კიდეცა, რომ არავითარი შიში აღარა აქვს ავადმყოფსაო“.

მერმე დედა იწერებოდა, მალე დაგბრუნდები სახლშიო და
წერილს ასე ამთავრებდა:

„როდესაც ვფიქრობ იმაზე, თუ ჩემმა აქ ჩამოსვლამ დიდედა
როგორ გაახარა, მე მზად ვარ ვემსახურო, თავს შემოვევლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფობისას დედაჩემს; ვგრძნობ, რომ თუ მეც და სხვანიც კმაყოფილნი ვართ, ეს სულ ჩემი საყვარელი გოგონას მეოხებით". ამ ფიქრზე გული სიამით და სიხარულით მევსება და ვმადლობ ღმერთს, რომ კეთილი ქალით დამასაჩუქრა".

ლამაზზე ულამაზესი ბალტოც რომ შეეკერათ სტეფანიასთვის, ისიც-კი ისე არ გაახარებდა, არ გააბედნიერებდა მას. ასეთი წერილი სახინაზე ძვირფასიაო!—სთქვა თავისთვის სტეფანიამ და ეს ძვირფასი წერილი შეინახა სწორედ იმ თუნუქის ყუთში, სადაც წინად ინახავდა შემნახველ კასის წიგნაკს, მაგრამ ამასთანავე გრძნობდა, რომ ეს წერილი იმ წიგნაკზე ასჯერ ძვირფასი იყო, რომ ამ წერილს არა სიმდიდრეზე არ გასცვლიდა.

მ. ბერძენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

(წარმოდგენილი Ვ. ნიორაძის მიერ)

სამუსიკო იარაღის
ნაწილია პირველიო,
მეორე—მცენარესა აქვს,
ყველაა მის მნახველიო;
ჩვენ ორი უკუდოდ გვინდა:
აქ რაა საკვირველიო?
ბოლო ასოს გაიძახის
ხშირად ამბვის მკითხველიო.
მთელი სიტყვა სმენას ატკბობს,
თუ კი ასლოს მისველიო.

ᲐᲛᲝᲡᲐᲪᲜᲝᲒᲘ

(წარმოდგენილი Ვ. ჯიჯინაძის მიერ)

ბ. დ. ზ. თ. კ. ლ. მ. ს. ტ. უ. ფ. ქ. ღ. ძ. ჯ. ხ.

ამ 16 ასოს თითოს მიუმატეთ სამ-სამი ასო, ისე, რომ გამოვიდეს სხვა-და-სხვა სიტყვები; ერთმანეთისაგან კი განსხვავდებოდეს მხოლოდ პირველი ასოთი.

მე-8 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

პირველი ქალაქი საქართველოსი თბილისია.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **ბ. პ. ი. თუმანიშვილი.**